ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა სუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის ნოემბრის 15.	№ 20 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტეტ, საკანონმდებლო კომისიასთან ერთ-ად სებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

საბჭოთა ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველო

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 225. ყრილობისა, კონფერენციისა, პლენუმისა და თათბირის მონაწილეთა საწარვლინებო სარგოს შესახებ.

„ 226. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა და აგრეთვე ა/კსფსრ უწყებების განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის დროის თაობაზე“ 1925 წ. თებერვლის 28-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„ 227. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. ოქტომბრის 15-ს მანიფესტში გამოცხადებულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

„ 228. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-11 მუხ. დამატების შესახებ.

„ 229. სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერის განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

„ 230. შრომის გმირთა შესახებ.

„ 231. ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის თაობაზე 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხ. შეცვლის შესახებ.

„ 232. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 23 მუხლის „მ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

„ 233. ძორაგეთის ჰიდრო-ელექტრო სადგურის თანამშრომელთა მგზავრობისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 367. დაიბეჭდა 800.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

225. ყრილობისა, კონფერენციისა, პლენუმისა და თათბირის მონაწილეთათვის საწარვლინებო სარგოს მიცემის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შემოღებულ იქნეს შემდეგი წესი საბჭოთა ყრილობებისა და უწყებათა, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა მიერ მოწყობილი ყრილობებისა, კონფერენციებისა და თათბირების მონაწილეთათვის სასყიდლის მიცემისა:

1. ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობების წევრნი გზაში ყოფნის დროს, როდესაც იმ ქალაქში მიდიან, სადაც ყრილობაა მოწვეული ან უკან ჰბრუნდებიან, მიიღებენ დღიურ სარგოს არა უმეტეს მათი თვიური ჯამაგირის $^1/_{30}$-ს როდენობისა. ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობების ის წევრნი, რომელნიც მუდმივ ჯამაგირს არ იღებენ, დღიურ სარგოს მიიღებენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ჯამაგირის $^1/_{30}$-ს ანგარიშით.

2. ამიერკავკასის საბჭოთა ყრილობების წევრნი სასმელ-საჭმელსა და ბინას მიიღებენ ნატურად ან ფულად. კმაყოფა ნატურად შეიძლება შეცვლილ იქნეს დღიური სარგოს მიცემით წინა მუხლში განსაზღვული რაოდენობით, ხოლო ბინნა ნატურად მიცემა შეიძლება შეიცვალოს ფულადი სასყიდლით იმ რაოდენობისა, რაც განსაზღვრულია სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრკ ფარგლებში სამსახურის გამო წარვლინებათა შესახებ“ 1927 წ. იანვრის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 42) მე-4 მუხლით.

3. ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთ სასყიდელი ამიერკავკასიიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესსიის დროს მიეცემათ იმ წესით, რაც განსზღვრულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შესახებ გამოცემული დებულებით.

4. რესპუბლიკანურ და ადგილობრივ საბჭოთა ყრილობებისა, რესპუბლიკანური და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სესსიების მონაწილეთათვის სასყიდლის მიცემა და ავრეთვე მათთვის კმაყოფისა და ბინის ნატურად ან ფულად მიცემა მოხდება ამა დადგენილების 1 და 2 მუხლების თანახმად.

5. ა/კუსფრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრთ სასყიდელი რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტების სესსიების დროს მიეცემათ იმ წესით, რაც განსაზღვრულია რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შესახებ გამოცემული დებულებით.

6. საუწყებო ყრილობებისა, კონფერენციებისა, თათბირებისა და სხვ. წევრნი მიიღებენ კმაყოფას სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრკ ფარგლებში სამსახურის გამო წარვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებათა შესახებ“ 1927 წ. იანვრის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 42).

7. ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ საბჭოთა ყრილობების ყველა წევრს, აგრეთვე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, რესპუბლიკანური ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების წევრთ მიეცემათ საგზაო სარგო აღმასრულებელი კომიტეტების სათანადო ყრილობაზე და სესიაზე წასასვლელად—წინაუკმოდ—რბილი ვაგონის ტარიფით.

8. ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობების მუშა-წევრებს, აგრეთვე საუწყებო ყრილობისა, თათბირისა და კონფერენციის მუშა-წევრებს, რომელნიც გზაში და ყრილობისა, თათბირისა და კონფერენციის ადგილას ყოფნის დროს საწარმოსაგან ჯამაგრის არ იღებენ, სათანადო დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, ამა დადგენილების 1, 2, 6, 7 მუხლებით გათვალისწინებული საგზაო სარგოს, კმაყოფისა და ბინის გარდა, უნდა მისცეს დღიური სარგო მათი საშუალო სამუშაო საშუალოს $^{1}/_{30}$-ს რაოდენობით.

9. დღიური სარგო გზაში ყოფნის დროს (მუხ. 1)—წინაუკმოდ, აგრეთვე საგზაო სარგო წასვლისათვის (მუხ. 7) გაიცემა იმ ორგანოს, დაწესებულებისა და საწარმოს ხარჯით, რომელიც ჰგზავნის დელეგატებს ყრილობაზე, კონფერენციაზე და თათბირზე.

ყრილობისა, კონფერენციისა ან თათბირის ადგილას კმაყოფისა თუ ბინის ნატურად მიცემა ან და, კმაყოფისა თუ ბინის ნატურად მიცემის ნაცვლად, ფულადი თანხის მიცემა მოხდება იმ ორგანოს, დაწესებულებისა და საწარმოს ხარჯით, რომელიც იწვევს სათანადო ყრილობას, კონფერენციას და თათბირს.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 25. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1619 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 4-ს.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოსი

226. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართაა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა და აგრეთვე ა/კსფსრ უწყებების განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის დროის თაობაზე“ 1925 წ. თებერვლის 28-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

ამიერკაგკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა და აგრეთვე ა/კსფსრ უწყებების განკარგულებათა გემოქვეყნებისა და ძალაში შესვლის დროის შესახებ“ 1925 წ. თებერვლის 28-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-რი, მუხ. 384) დადგენილების დასამატებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უკეთუ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კანონი და განკარგულება გამოცემულია წინადადების (დირექტივის) სახით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, სახალხო კომისართა საბჭოებისა და ეკონომიური საბჭოების მიმართ—დირექტივაში აღნიშნული ნორმების რესპუბლიკანური კანონმდებლობის წესით ჩამოყალიბების შესახებ,—ეს ნორმები განხორციელებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც აღნიშნული რესპუბლიკების სათანადო კანონი ძალაში შევა (სამოქმედოდ იქნება შემოღებული)

2. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და ა/სფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ის კანონი და განკარგულება, რაც მთლად ან ნაწილობრივ ობიექტიურად შეუსრულებელია, ვიდრე არ გამოიცემა ამ კანონით და განკარგულებით გათვალისწინებული გამაკონკრეტებელი და გამადეტალებელი დადგენილება ა/კსფსრ მთავრობისა ან საუწყებო განკარგულება,—განხორციელებულ იქნება მთლად ან სათანადო ნაწილად იმის შემდეგ, როდესაც ძალაში შევა აღნიშნული გამაკონკრეტებელი და გამადეტალებელი ნორმები.

3. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, ა/სფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ყველა სხვა კანონი და განკარგულება, მათ შორის ისეთი, რომელიც „ძირითადი“-სა, „ძირითადი პრინციპები“-სა და სხვა სახელწოდებას ატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს, აგრეთვე ისეთიც, რომელიც შეიცავს წინადადებას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა მიმართ, რათა მათ შეიტანონ რესპუბლიკების კანონმდებლობაში ამ კანონისა და განკარგულებისაგან გამომდინარე ცვლილებანი—ძალაში შევა (სამოქმედოდ შემოღებულ იქნება) საერთო წესით, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული—1925 წ. თებერვლის 28-ს—დადგენილებით.

4. უკეთუ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კანონში ან განკარგულებაში განსაზღვრული არ არის ვადა ამ კანონისა თუ განკარგულების აღსასრულებლად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, სახალხო კომისართა საბჭოებისა და ეკონომიური თათბირების მიერ ამა დადგენილების 1 და 2 მუხლებით გათვალისწინებულ დადგენილებათა გამოცემისათვის,—ეს დადგენილებანი გამოცემულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 2 თვისა ფედერატიული კანონის თუ მთავრობის განკარგულების გამოქვეყნების დღიდან (ან არაგამოსაქვეყნებელი ფედერატიული კანონისა თუ განკარგულების მიღების დღიდან).

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. აღამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. ოქტომბრის 25.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1620 №-ში 1927 წ. ნოემბრის 5-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

227. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის ოქტომბრის 15-ს მანიფესტში გამოცხადებულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

აღნიშნავს-რა იმ ენტუზიაზმს, რომლითაც ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშებმა და გლეხებმა მიიღეს სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. ოქტომბრის 15-ს მანიფესტი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აღნიშნულ მანიფესტში გამოცხადებულ ღონისძიებათა უახლოეს დროის განმავლობაში განხორციელებისათვის, ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ა) წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს წინადადება იმ ღონისძიებათა საკითხის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია უახლოეს დროში მრეწველობის ესა თუ ის დარგი გადაყვანილ იქნეს სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. ოქტომბრის 15-ს მანიფესტით განცხადებულ შვიდი საათის სამუშაო დღეზე, სამუშაო ხელფასის შეუფცირებლად.

ბ) მუშათა საბინაო საქიროებათა დასაკმაყოფილებლად გამოარკვიონ ის ადგილები, სადაც მუშათა საბინაო მშენებლობისათვის საჭიროა ასიგნვათა გადიდება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვების ზედმეტად.

გ) ღარიბი ელემენტების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელებისათვის დაამყარონ ურყევი მეთვალყურეობა, რათა ნაკლებად ღონიერი გლეხთა მეურნეობანი თავის დროზე და სამართლიანად განთავისუფლებულ იქნეს 1927-1928 საშენაწერო წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ოქტომბრის 21-ს დადგენილების წესისამებრ, და აგრეთვე განსაზღვრონ გლეხთა მოსახლეობის ნაკლებად შემძლე ფენებ შორის მოხუც პირთა კონტიგენტი სახელმწიფო ხარჯით უზრუნველსაყოფად.

დ) სოფლისა და საქარხნო-საფაბრიკო დასასახლებელი ადგილების კულტურის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განსაზღვრონ სასკოლო მშენებლობისათვის საჭირო ასიგნვათა რაოდენობა.

II. ამოშალონ სისხლის სამართლის კოდექსებიდან სიკვდილით დასჯის შეფარდება, როგორც სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიებისა, ყველა საქმისათვის, სახელმწიფოებრივი და სამხედრო დანაშაულისა და შეიარაღებული ყაჩაღობის გამო აღძრულ საქმეთა გარდა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წლის ნოემბრის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1621 №-ში 1927 წ. ნოემბრის 6-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

228. **ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-11 მუხ. დამატების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წ. აგვისტოს 9-ს დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) მე-11 მუხლს დაემატოს პუნქტი „თ“ შემდეგი შინაარსისა:

„თ) საბჭოთა პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ადგილობრივი ორგანოების სუბსიდიისათვის საჭირო ხარჯი“.

II. დადგენილება ესე, ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-6 მუხლის გამონაკლისად, შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1927 წ. ოქტომბრის 1-დან.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომხრე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 25. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ეოსტოკა“-ს 1622 №-ში 1927 წ. ნოემბრის 10-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

229. **ა/კსფსრ-ში სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერის წარმატებით განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.**

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „1927-28 წელს სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერის წარმოების შესახებ“ 1927 წ. აგვისტოს 10-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 47 №-რი, მუხ. 476) შესასრულებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკალოს აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს:

1. აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე 1927 წლის დეკემბრის 15-ს სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერის წარმოების საქმეს.

2. დააკისრონ სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს მეთვალყურეობა გაუწიონ სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერისათვის წარმოებულ მუშაობას და პირადი განკარგულებით ააცილონ აღწერის წარმატებით განხორციელებას ყოველგვარი დაბრკოლება.

3. აღწერის წარმატებით განხორციელებისათვის მისაღებ ღონისძიებათა შესათანხმებლად მოაწყონ იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე აღწერა იწარმოებს, რესპუბლიკანური აღწერის დამხმარე კომისია სათანადო განათლების სახალხო კომისარიატისა, განათლების დარგში მომუშავეთა რესპუბლიკანური კავშირისა და რესპუბლიკანური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარმომადგენელთა შედგენილობით და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

4. გამოსცენ სათანადო დადგენილებანი, რითაც დაეკალება იმ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კერძო პირს, ვის გამგებლობაშიაც სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებანია, იმის მიუხედავად, თუ რა ტიპისანი არიან ეს დაწესებულებანი, წარუდგინოს ამ დაწესებულებათა სიები სათანადო რესპუბლიკანურ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, არსებული ფორმით, არა უგვიანეს 1927 წ. იანვრის 20 სა.

5. დაავალონ აღსაწერ დაწესებულებათა ადმინისტრაციას აღწერის წარმოების დროს სკოლის მეცადინეობის გეგმაში შეიტანონ ფორმულიარების შევსება იმ ვადაზე, რაც განსაზღვრულ იქნება ინსტრუქციით აღწერის წარმოების შესახებ.

6. დააკისრონ სათანადო განათლების სახალხო კომისარიატებს გასცენ განკარგულება, რათა აღწერისათვის წარმოებულ მუშაობაში ჩაბმული პერსონალი განთავისუფლებულ იქნეს აღწერის წარმოების პერიოდში თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებისაგან.

7. პასუხისმგებლობა მე-4 მუხ. აღნიშნული სიების წარდგენისაგან თავის არიდებისა ან თავის დროზე წარუდგენლობისათვის დაეკისროს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელ ორგანოებს, ხოლო სააღწერო ფორმულიარების შევსებისათვის—სასწავლო დაწესებულებათ—ამ დაწესებულებათა გამგეთ.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/სფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. ნოემბრის 4. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1623 №-ში 1927 წ. ნოემბრის 11-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

230. შრომის გმირთა შესახებ.

ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შრომის გმირის წოდება, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შრომის გმირთა შესახებ“ 1927 წ. ივლისის 27-ს თარიღით გამოცემული (სსრ კან. კრ. 1927 წ. 45 №-რი, მუხ. 456) დადგენილებით გათვალისწინებულ პირობებში, მიენიჭება ვისაც ჯერ არს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის პროფესიონალური კავშირთა საბჭოს წარდგენით.

2. შუამდგომლობა ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წინაშე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შრომის ამირის წოდების მინიჭების შესახებ—აღიძვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პლენუმის დადგენილებით, რაც გამოტანილ იქნება მისი საკუთარი ინიციატივით ან სახელმწიფო ორგანოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინიციატივით.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წინაშე შუამდგომლობის აღძვრის წესს (მუხ. 1) განსაზღვრავს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაწესონ შრომის გმირთათვის საბინაო და სხვა შეღავათები.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტ. თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა**,

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. სექტემბრის 25. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1624 №-ში 1927 წ. ნოემბრის 12-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 53 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

231. **ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის თაობაზე“ 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხ. შეცვლის შესახებ.**

„სახელმწიფო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ“ მე-18 №-რით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-რის 411 მუხლი) დადგენილების მე-8 მუხლის შესაცვლელად—ა/კსფრს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: ზემოაღნიშნული მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„8. სახელმწიფო საწარმოთა მოგების განაწილებისათვის სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს:

ა) სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა მიმართ—46 მუხლი სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ივნისის 29-ს დამტკიცებული (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. 39 №-რი, მუხ. 392) დებულებისა „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების შესახებ“.

ბ) სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა მიმართ—მე-11 და 12 მუხლები სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. აგვისტოს 17-ს დამტკიცებული (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 49 №-რი, მუხ. 502) დებულებისა „სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა შესახებ“.

ა/კსფსრ სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. ოქტომბრის 20. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1625 №-ში 1927 წ. ნოემბრის 13-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

232. **ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 23 მუხ. „მ“ პუნ. შეცვლის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წ. აგვისტოს 9-ს დებულების (ა/კსფსრ კანონ. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 23 მუხლის „მ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 100°/„ სასამართლო ბაჟისა, რაც ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სასამართლო დაწესებულებათა მიერ განხილულ საქმეებზე შემოვა (მათ შორის ამ სასამართლოს გადაწყვეტილებათა განსაჩივრებისათვის შეტანილი ბაჟი)“.

II. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1927 წ. ოქტომბრის 1-დან.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 25. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1625 №-ში 1927 წ. ნოემბრის 13-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1927 წ. ნოემბრის 11. № 20/P.

233. ძორაგეთის ჰიდრო-ელექტრო სადგურის თანამშრომელთა მგზავრობისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

ძორაგეთის ჰიდრო-ელექტრო სადგურის თანამშრომელთა მგზავრობისათვის ყარაფულისის სადგურიდან ყალაგერანის სადგურამდე ამა დადგენილებით დაწესებულია ადგილობრივი ტარიფი, საქალაქ-მიდამო სამგზავრო ტარიფის განაკვეთის მიხედვით, ყველა სამგზავრო მატარებელში, განსაზღვრული ფორმის ფვალური ბილეთის მიღების უფლებით.

ტარიფი ესე შემოიღება სამოქმედოდ 7 დღის გასვლისას ამა დადგენილების დღიდან, დაწესდება 6 თვის ვადით და შეფარდებულ იქნება ან შემთხვევაში, უკეთუ ესა თუ ის პირი წარადგენს ძორაგეთის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ადმინისტრაციის მოწმობას, რომ იგი ნამდვილად ამ სადგურის თანამშრომელია.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო
სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მაგიერ **გვერდწოთელი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა
მმართველის თან. აღმასრ., უფრ. ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1625 №-ში 1927 წ. ნოემბრის 13-ს.